სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო

9 მიხეილ ასათიანის ქუჩა
0177 თბილისი, საქართველო
032 239 53 06 ; 1505
infosesa@moh.gov.ge

06 მარტი 2026

ბატონო დავით,

თქვენი 2026 წლის 16 თებერვლის №193379 განცხადების პასუხად, სადაც გვთხოვთ განმარტებას „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე, გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განიხილა სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს შრომითი მიგრაციის დეპარტამენტმა და გაცნობებთ შემდეგს:

1. ინდივიდუალური მეწარმეები, რომლებიც 2026 წლის 1 მარტის მდგომარეობით უკვე ახორციელებენ საქართველოში შრომით/სამეწარმეო საქმიანობას, არიან მოქმედი საწარმოების პარტნიორები ან სხვაგვარად არიან ჩართულნი სამეწარმეო/შრომითი საქმიანობის პროცესში, რომლიდანაც იღებენ ფინანსურ სარგებელს, მათ მიმართ კანონმდებლობით განსაზღვრული აღსრულების მექანიზმი ამუშავდება 2026 წლის 1 მაისიდან. შესაბამისად, მათ დასჭირდებათ შრომითი საქმიანობის უფლების მოპოვება.

2. 2026 წლის 1 მარტიდან, ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც შემოსავალს ადეკლარირებს საქართველოში და იხდის შესაბამის გადასახადებს, ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია სპეციალური ელექტრონული სისტემის საშუალებით და მოიპოვოს შრომითი საქმიანობის უფლება.

3. „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2026 წლის 1 მარტიდან, საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელი, რომლის მიზანია საქართველოში ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელება ან რომელსაც სურს ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომით ურთიერთობა დისტანციურად, ასევე საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელი, რომელიც საქართველოში ახორციელებს შრომით საქმიანობას, მათ შორის, არის ვაჭრობის, მომსახურების ან სხვა ტიპის საქმიანობის განმახორციელებელი ან პარტნიორი, დამოუკიდებელი კონტრაქტორი ან სხვაგვარად არის ჩართული სამეწარმეო/შრომითი საქმიანობის პროცესში და ამ საქმიანობის მიზანი ფინანსური სარგებლის მიღებაა, ვალდებულია მოიპოვოს „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შრომითი საქმიანობის უფლება. შესაბამისად, 2026 წლის 1 მარტიდან, შრომითი საქმიანობის უფლების მოპოვების ვალდებულება გავრცელდება იმ კომპანიის დამფუძნებლებზეც/დირექტორებზეც, რომლებიც კომპანიაში დანიშნული არიან შესაბამისი ოქმის ან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სასამსახურო ხელშეკრულებით.

4. იხილეთ პასუხი №3.
5. შრომითი საქმიანობის უფლების მოპოვების წესი, რომელიც ადგენს აღნიშნული უფლების მოპოვებისთვის საჭირო პროცედურებს, სავალდებულო კრიტერიუმებსა და ვადებს, განისაზღვრება „შრომით მიგრანტსა და

თვითდასაქმებულ უცხოელზე შრომითი საქმიანობის უფლების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 თებერვლის №70 დადგენილებით, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე (www.matsne.gov.ge).

6. შრომითი საქმიანობის უფლების მოპოვების ვალდებულება გავრცელდება იმ კომპანიის დამფუძნებლებზეც/დირექტორებზეც, რომლებიც კომპანიაში დანიშნული არიან შესაბამისი ოქმის ან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სასამსახურო ხელშეკრულებით. კანონის მიზნებიდან გამომდინარე, კომპანიის დირექტორიც მიიჩნევა თვითდასაქმებულ უცხოელად და ვალდებულია მოიპოვოს „შრომითი საქმიანობის უფლება“.

7. 2026 წლის 1 მარტიდან, შრომითი იმიგრანტის შრომითი საქმიანობის უფლების მოსაპოვებლად ინდივიდუალური მეწარმე უცხოელი, შრომითი საქმიანობის უფლების მოპოვების მიზნით, განცხადებას წარადგენს სპეციალური ელექტრონული სისტემის საშუალებით შემდეგ მისამართზე: www.labourmigration.moh.gov.ge.

8. იხ.პასუხი 2.